Safe Online

Partnership for Human Rights

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE



მშობელთა კონტროლი ციფრულ სივრცეში

უკონტროლო წვდომა

ციფრული ეპოქაში ბავშვებსა და მოზარდებს ონლაინ პლატფორმებზე უპრეცედენტო წვდომა აქვთ.

1 ესაუბრეთ საფრთხეებზე

გულახდილად ესაუბრეთ თქვენს შვილებს უკონტროლო მოხმარების შესაძლო საფრთხეებსა და ზიანზე. აუხსენით თქვენი მხრიდან ნაწილობრივი კონტროლის დაწესების მნიშვნელობა.

2 გაეცანით მის ციფრულ სამყაროს

ბავშვთან ერთად დაათვალიერეთ ის ციფრული პლატფორმები, რომელსაც ის მოიხმარს, დაუსვით კითხვები და მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული პლატფორმების კონტროლზე.

3 რას მოიცავს კონტროლი?

მაგალითად, ეკრანთან გატარებული დროის მართვა, კონტენტის ანუ შინაარსის ფილტრაცია, აქტივობების მონიტორინგი და კონტაქტების შეზღუდვა.



Parental control ფუნქცია ყველაზე პოპულარულ აპლიკაციებზე

Facebook

ფეისბუქში მშობელთა კონტროლი მოიცავს შეზღუდვას თუ ვინ ნახავს თქვენი შვილის პოსტებს. ასევე, მეგობრობის მოთხოვნების მართვასა და პარამეტრებში Family Center ფუნქციის გააქტიურებას.

Instagram

ინსტაგრამი მშობლებს აძლევს საშუალებას შექმნან ზედამხედველობითი ანგარიშები თავიანთი მოზარდებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ მართონ ეკრანის დრო, ნახონ ვისი გამომწერია მათი შვილი და პირიქით.

YouTube

იუთუბი გთავაზობთ სპეციალურ აპლიკაციას სახელწოდებით YouTube Kids, რომელიც უზრუნველყოფს უფრო უსაფრთხო გარემოს ბავშვებისთვის შესაფერისი შინაარსით. მშობლებს შეუძლიათ დააყენონ დროის ლიმიტები, გააკონტროლონ რას უყურებენ მათი შვილები და დაბლოკონ არხები, რომლებიც მათ შეუფერებლად მიაჩნიათ. სტანდარტულ YouTube-ზე შეიძლება დროის კონტროლი და სექსუალური შინაარსის გაფილტვრა.

Safe Online

Partnership for Human Rights

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ყველა აპლიკაციასა თუ პლატფორმაში მშობლების რეჟიმი ირთვება და ითიშება პარამეტრებიდან (settings)

Tiktok

TikTok-ზე მშობლებს შეუძლიათ გააქტიურონ Family pairing ფუნქცია, რომელიც მშობელს ბავშვის ანგარიშთან აკავშირებს. ამით შესაძლებელია შეუფერებელი კონტენტის გაფილტვრა, კონტროლი თუ ვინ აკვირდება ბავშვის პოსტებს და ხომარ მიუღია მას არასასურველი შეტყობინება.

Pinterest Snapchat

პინტერესტზე მშობლებს შეუძლიათ პროფაილ კედლისა და აპინვების კონტროლი, ასევე, შეტყობინებების კონტროლი ან გამორთვა. **სნეპჩატზე** კონტროლის საშუალება მინიმალურია, თუმცა მშობლებს მაინც შეუძლიათ ბავშვის კონფიდენციალურობის კონტროლი.

Gaming

უმეტეს **სათამაშო კონსოლებს**, როგორიცაა PlayStation, Xbox და Nintendo, აქვთ ისეთი მშობელთა კონტროლის პარამეტრები, რომლებიც ზღუდავენ თამაშის დროს, ზღუდავენ წვდომას გარკვეულ თამაშებზე რეიტინგების მიხედვით და მართავენ თუ ვის შეუძლია კომუნიკაცია ბავშვებთან ონლაინ. სათამაშო პლატფორმებიც, მაგალითად Steam, ასეთივე კონტროლის საშუალებას იძლევა.

Safe Online
Partnership for Human Rights
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

აღნიშნული გამოცემა განხორციელდა ევროპის საბჭოსა და Safe Online-ის მხარდაჭერით